სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
თ.-აზნაურო ქარვასლა
ხელ-მომწერნი გაზეთის დახაკვე-
ბიშმიმართავენ რედაქციის დილის
-8 საათამდე და საღამოს 6—7
„წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიის.
-მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.

-სტარ მოლაპარაკება რედაქ-
ცართან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
ცალი ნომერი 3 კაპიკი.
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 363

უკანასკნელი წარმოდგენა

ქართული თეატრი
შაბათს 27 თებერვალს
ბენეფისი
ვ. აბაშიძისა და კ. მესხისა

ქართული დრამატიული საზოგადოების დასისაგან ეფ. მესხისა, რენელისა, ქ-ნ ჩერ-
ქეზიშვილისა, ვ. გუნიასი და მთელიდასის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

I
ახალი პიესა
სულთა-მხუთავი
დრამა 5 სრრათად. თარგ. დ. მესხის-მიერ.

II
ღუზები
ფარსი 3 მოქ. გადმ. თ. სახოკიასი და ვ. გუნიას-მიერ.

ადგილების ფასი საბენეფისოა — დასაწყისი სწორედ 8 საათზე.
ბილეთები ამ თავითვე ისყიდება თეატრის კასაში — რეჟისორნი ვ. აბაშიძე და კ. მესხი.

უკანასკნელი წარმოდგენა

უკანასკნელი წარმოდგენა

გამგეობა ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა
ამ თვის წევრთ აცნობებს, რომ კვირას, 14 მარტს ამ წლისას და-
ნიშნულია

# წლიური სხდომა
## წევრთა საზოგადო კრებისა

დილის 10 საათზე, ფოთის საქალაქო გამგეობის დარბაზში:
1. განსახილველი და დასამტკიცებელია ანგარიში, 1898 წლისა.
2. დასამტკიცებელია 1899 წლის ხარჯთა-აღრიცხვისა.
3. ასარჩევია რჩევის ორი დეპუტატი, იმათ ნაცვლად, რომელთ
და გაუდის.
4. ასარჩევია თავმჯდომარე და დირექტორი გამგეობისა იმათ
ნაცვლად, ვისაც ვადა გაუდის ან ავათმყოფობისა გამო თავს ანებებს.
5, ასარჩევია სამი წევრი სარევიზიო კომისიისა და მათი კანდი-
დატი.

წესდების 36 მუხლის ძალით, საზოგადო ნატარიული რწმუნები-
ს ფურცელნი, საზოგადო კრებაში მონაწილეობისა მისაღებად სა-
ჭირონი, უნდა გამგეობაში წარმოდგენილი იქმნენ სამი დღით ადრე,
საზოგადო კრებისათვის დანიშნულ დღისა, ე. ი. არა უგვიანეს ამა
თვის მარტის თერთმეტის რიცხვისა. (3—2)

...ვილეთ სწორეთ იმ ფირმებიდან
და ისეთივე საიმედო, როგორც
წარსულ წლებში, ბაღდადების
მგრეხვიული ჯიშისა დიდი მა-
ლი აბრეშუმის თესლი. მსურველთ
შეუძლიანთ მოგვმართონ ჯერ-ჯე-
რობით: ოზურგეთში, ახალსენაკში
და ბათუმში ჩვენს წიგნის მაღა-
ზიაში, რომლებთაც დაეთმობა
... იაფად. საიმედო პირს ვაძ-
ლევთ ნისიათაც. ამასთანავე ვყი-
დით სულ მცირე ფასათ ბჟოლის
ნერგს და წიგნაკებს აბრეშუმის
მოვლა მოშენებაზე.

(20—1) ძმ. თავართქილაძეები.

სამკურნალო და ამბულატორია
## ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავად-
მყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფ-
ნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურ-
გო, თვალისა და დედათა ავადმყო-
ფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ
მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11
საათიდგან ნაშუადღევის 3 საა-
თამდე. შინაგან და ნერვების ავად-
მყოფობას სწამლობს **ს. ბ. თო-
ფურია.** საქირურგო ავადმყოფობას
და სიფილისს **ფ. ქ. ზერატი.**
დედათა ავადმყოფობას მკურნალი
ქალი **მ. თ. ქობანი.**
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფო-
ბის და აკუშერობის **D-r ფ. ბა-
ცევიჩი.**
თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ.
ვარშავსკი.**
ამბულატორიასთან არის კაბინეტი
საექიმო და საბაქტერიოლოგიო
გამოკვლევისათვის, ელექტრონით
წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თო-
ფურია.**
*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

*** შიო-მღვიმის მონასტრის
წლიური დღესასწაულის გამო ყო-
ვლად სამღვდელო ლეონიდი გა-
დაიხდის ხსენებულ მონასტერში
ამ თვის 24 ღამისთევით ლოცვას,
ხოლო ოცდა ხუთს საღმრთო ლი-
ტურღიას. როგორც ისმის, თუ
დარმა არ შეუშალა ხელი, დიდ-
ძალი ხალხი ემზადება მონასტერ-
ში წასასვლელად. სხვათა შორის,
დღესასწაულს დაესწრება მთელი
სემინარია რექტორით და ინსპექ-
ტორით. ეპისკოპოსი ლეონიდის
თხოვნით 24 და 25 ყველა მატა-
რებლები შეჩერდებიან მონასტრის
ბაქანთან სოფელ ძეგვში.

*** **სამეგრელოს სამღვ. დეპუ-
ტატთა კრება ახალ-სენაკში.** ამა
მდგომარე თებერვლის 23, კრება
ექნება სამეგრელოს სამღვდელოე-
ბის დეპუტატებს ახალ-სენაკში.
კრების უმთავრესი დანიშნულება
არის ამ წლის ხარჯი და
შენახვა სასწავლებელისა. ეს მესა-
მე კრებაა ამ საგანზე სამღვდელო-
ებისა, მაგრამ ვერც ერთხელ შე-
დგა საკმაო რიცხვი დეპუტატები-
სა, რის გამოც, ეხლაც არ არის
გარდაწყვეტილი სასწავლებლის
შენახვის ხარჯი. რასაკვირველია,
ეხლა მაინც საკმაო რიცხვი დაეს-
წრება დეპუტატებისა.

*** **ახალი დანიშნულება.** კავკა-
სიის სამკურნალო ნაწილის მმარ-
თველად დანიშნულია სამკურნა-
ლო დეპარტამენტის განყოფილე-
ბის უფროსი სტ. სოვ. არის. ივ.
სმირნოვი; ამიერ-კავკასიის ოლ-
ქის საბებიო ინსტიტუტის დირე-
ქტორად—ს.-პეტერბურგის სამხე-
დრო საავადმყოფოს ასსისენტი
ექიმი კოლ. სოვ. ანდრ. რ. ფი-
შერი.

*** **ელექტრონის გამართვა ნება-
დაურთველად.** ტფილისის ფოსტა-
ტელეგრაფის ოლქის ელექტრო-
ტეხნიკებს აღმოუჩენიათ ტფილი-
სში ზოგიერთ კერძო სახლებსა,
მაღაზიებსა და ქარხნებში, ელექ-
ტრონი, რომელიც მოქმედებს
შეუმოწმებლად და ნება-დაურთვე-
ლად, ვისგანაც ჯერ არს; ეს ამ-
ბავი ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის
უფროსმა აცნობა სათანადო მთა-
ვრობას.

*** **სამკურნეო იარაღთა საწყო-
ბის ადგილი.** ქალაქის მოურავმა

20 თებერვალს წარუდგინა ტფილისის გუბერნატორის თანამდ. ილ.-ს დასამტკიცებლად საბჭოს დადგენილება შესახებ ადგილის დათმობისა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისათვის სამეურნეო იარაღთა საწყობის ასაშენებლად.

⁂ **ტფილისის გუბერნატორისაგან სამსახურის თავის დანებება.** ტფილისის გუბერნატორი ბიკოვი დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდგან, მისი თხოვნის თანახმად, და ჩაირიცხა საშინაო საქმეთა სამინისტროში. როგორც „ახ. მიმ."-ს გაუგონია, ბ. ბიკოვი დანიშნულ იქმნება სამოსამართლო უწყებაში.

⁂ **კავკასიის სამკურნალო ნაწილის მმართველი.** მედიცინის დოქტორი გლავაცკი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან ავადმყოფობის გამო, მისი თხოვნის თანახმად. როგორც ისმის, კავკასიის სამკურნალო ნაწილში ცვლილება იქნება შეტანილი.

⁂ **საქართველოს სამხედრო გზის მდგომარეობა.** კობიდან დეპეშით იუწყებიან 20 თებერვალიდან, რომ კობსა და ჯვარს შუა გახსნილია საცალფეხო გზა ზვავების ზემოდან. უმაღლესი ფოსტა გაუგზავნიათ გუდაურში.

⁂ **წითელა ტფ. გუბერნიაში.** ტფილისის გუბერნიის ზოგიერთ მაზრებში ბავშვებს წითელა გასჩენიათ.

⁂ **ჰასან-ბეკ სამედბეკოვის საქმე.** 20 თებერვალს ტფილისის სამოსამართლო პალატაში გაირჩა საქმე ჰასან-ბეკ სამედბეკოვისა, რომელსაც ბრალდებოდა მოქმედებით შეურაცხყოფა ავჭალის წყლის მილების მმართველის ს. ა. ბუხარინსკისა სამსახურის დროს. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ბრალდებული აღიარებულ იქმნა დამნაშავედ და მიესაჯა ყველა უფლებათა ჩამორთმევა და ტუსაღთა ზნე-ხასიათის გამასწორებელ როტაში ყოფნა ერთი წლის ვადით.

⁂ **თოვლის ზვავის მსხვერპლნი.** ამა თვის 7 სა, ნაშუადღევის 3 საათზე, ს. კობის ზემოდან პირველი დაფარებულის გვერდით, აღმოსავლეთის მხრიდან ჩამოსულმა ზვავმა იმსხვერპლა ს. ფანშეტის მცხოვრებნი დათიკო და შიო სამქანაშვილები, რომლებიც შეშით დატვირთული 4 ურმით და ცხენებით გადასცვივდნენ დაბლა ხევში და დაიხოცნენ; მკვდრები ბევრი ძებნის შემდეგ, მესამე დღეს ძლივს იპოვნეს.

დათიკო და შიო სამქანაშვილები ორივე ახალგაზდა კაცები იყვნენ. დათიკო იყო დედის ერთა, დარჩა უპურის ლუკმოთ მოხუცებული დედა, ცოლი და ახლად დაბადებული 3 დღის ქალი.

⁂ **ლაგოდეხი** (კახეთი). **სამკითხველოს უქონლობა.** არ შეიძლიან არ აღვნიშნო აქაურების დაუდევრობა სიზარმაცე. დღეს იშვიათად შეხვდებით ისეთ ადგილს, რომ სამკითხველო არ არსებობდეს და ან უმეტესი რიცხვი საზოგადოებისა მსურველი არ იყოს და არ თაობდეს ასეთ დაარსებაზე, მაგრამ ლაგოდეხში არამც თუ არ არსებობს, ფიქრადაც არ მოსვლიათ ჯერ აქაურებს თუ რა მნიშვნელობა აქვს სამკითხველოს, თუმცა ქართულ ჟურნალ-გაზეთის წაკითხვას-კი ეტანებიან რამდენიმე მცხოვრებთაგანი.

აქ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს იწერს სულ სამი თუ ოთხი კაცი და დანარჩენი მკითხველები სარგებლობენ, მხოლოდ ნათხოვრობით, ასე რომ პატრონს შეუძლიან მიიღოს თავისი გაზეთი 10—15 დღის შემდეგ, რადგანაც მკითხველებს ერთი-მეორისგან მიაქვთ თავიანთ ბინაზე წასაკითხად. ასეთ ქართულ წიგნების მოყვარულნი სცხოვრობდნენ ერთ სოფელში და სამკითხველო არა ჰქონდეთ, სწორედ რომ სამწუხაროა. აი უმეტესი ნაწილი მათი დაუდევრობისა: აქ სცხოვრობდა ერთი ახალგაზდა კაცი თეოფ. ბახტაძე, რომლის ხშირი შთაგონებითაც ორმა აქაურმა ვაჭართაგანმა დაიკვეთეს კიდეც ქართული სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთები, რომლების წყალობით სხვებიც ბევრი სარგებლობენ. არა მარტო ერთხელ უთხოვნია ბ. ბახტაძეს აქაურებისათვის, ვიმეცადინოთ სამკითხველოს დაარსებაო, რომლებმაც თანაგრძნობა განაცხადეს, მაგრამ ამ ჟამად ბ. ბახტაძე არ იმყოფება ლაგოდეხში და საქმეც მიყრუვდა.

დროა გამოიფხიზლონ აქაურებმა და მოინდომონ დაარსება სამკითხველოსი რათა არ დარჩნენ წყალ-წაღებულნი.

— ამინდები. სწორედ, რომ მშვენიერი ამინდები იდგა იანვრის შუა რიცხვიდან, თითქმის გაზაფხულის დღეს მოგაგონებდათ, მაგრამ თებერვლის 9 შესამჩნევად მოთოვლა და მოგვაძებნინა უფრო თბილი სამოსელი დაიმედებულთ დაუპატიჟებელ სტუმრის მოუსვლელობისა.

პაგნელი

⁂ **ახალ-სენაკი.** **ქუჩების უვარგისობა.** ნათქვამია: „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო"-ო. რასაკვირველია, სიმართლე მოითხოვს, რომ ითქვას აქაური ქუჩები გაფუჭებულია, დაოღრო-ჩოღროებული და ატალახიანებულია. ჩვენმა დაბის ბელადებმა (დეპუტატებმა) ორი ახალი ქუჩა შესძინა დაბას, მაგრამ რა გამოვიდა. მოაყარეს ისეთი დიდი და ვებერთელა ქვები, რომ მაზე სიარული არა თუ ურმით, არც ეტლით და არც ფეხით არ შეიძლება. უკეთესი იქნებოდა, რომ ბარემ ისე ყოფილიყო, რადგანაც ხალხისთვის იგი მაინც გამოუსადეგარია. ან-და ზევით ცოტა ხვრეში მოეყარათ, მეტი არც კი უნდოდა, მაგრამ აქ ყოველივე საქმეს კუდი წყდება. ერთი ქუჩა, რომელიც აფთიაქის პირდაპირ არის, უხიდოა, თუ ქუჩის გაყვანამდი ხიდი საჭირო იყო, ნუ თუ ეხლა უფრო საჭირო არ არის?.. გარდა ამისა, შუა დაბაში, ერთი უბნიდან მეორეზე ვერ გავა კაცი, ისეთი მუხლამდი ტალახი სდგას დუქნების წინ. სასურველია ამ ადგილებში ხვრეში მაინც მოაყარონ და მით გაგვიადვილონ დუქნიდან-დუქნამდე მისვლა...

— **მტვერი გვახრჩობს.** დაბის დასავლეთის უბანში, რამდენიმე მაღაზიებში ბერძნები ვაჭრობენ სიმინდსა. ეს ვაჟბატონები ისე გათამამებულნი არიან, რომ მაღაზიის წინ სიმინდის სანიავებელი მანქანა აქვთ დადგმული, სადაც ნიავებენ სიმინდსა და იმისი მტვერით და ნაგავით შეწუხებულია ნახევარი დაბის მოვაჭრე და მცხოვრებლები. როცა სიმინდის ნიავებას დაიწყებენ, ნახევარი უბანი დაბისა მტვერშია გახვეული და ქუჩაში სიარული ეზიზღება კაცს. მაგრამ ვინ არის ყურის მგდებელი? სასურველია აქაურმა პოლიციამ გაიაროს ამ უბნისკენ და ნახოს თვისი ბედნიერი თვალით ბერძნების თავ-გასულობა და მით ყურადღება მიაქციოს და ალაგმოს მათი საქციელი.

ისევ ის ვარ

⁂ **ს. ახუთი** (სამეგრელო). **სკოლების დაარსება.** ამ მოკლე ხანში სოფ. ახუთში გაიხსნა ორი ორკლასიანი სკოლა საეკლესიო სამრევლო და სამინისტრო. ეს უკანასკნელი სექტემბრის თვიდგან გახსნილია, ხოლო ორ-კლასიანი სამრევლო სკოლა დამტკიცებულია ამ ახალი წლიდან მასწავლებელთათვის დანიშნულია ხაზინიდან ჯამაგირი 750 მანეთი. სწორედ რომ ძლიერ სასიამოვნო საქმეა ეს, თუ კი საზოგადოება მაინც მხარს არ აუქცევს, ე. ი. მისცემს იმ აღთქმულ 1500 მანეთ ფულს, სკოლის შენობის აგების დასახმარებლად. სწორედ დიდი სასიამოვნო ამბავია სამღებროელებისათვის*) და ბედნიერიც არიან, რ
ლის დაარსებას სხვა სოფლელ
ხარბის თვალით შეჰყურებ
ღმერთმა ჰქმნას, რომ მართ
სხვებსაც დაჰხარბებოდეს და
თის მაგალითისათვის სხვებსაც
ბაძნოთ. დიდი მადლობის ღირ
მ. ანტ. პაპასქირი, რომელმაც
ვი განიწირა ამ საქმისათვის.

გურულ-მეგრელ

## სამკურნალო ცნობ

ყვავილი. ყვავილის ჩამომავლ
ზე სხვა და სხვა აზრი არსებობს.
გიერთა მეცნიერები ამტკიცებენ,
ყვავილი უპირველესად ჩინეთში გ
3000 წელს ქრისტეს წინ, ხოლ
თრენი ამტკიცებენ, რომ ყვავილი
ველად შუაგულს აფრიკაში გაჩნდა
მესამენიც, ინდოეთში გაჩნდა, ინდ
თიდან სპარსეთში გადმოვიდა და
დან ომიანობის დროს ალექსანდრე
კედონელმა ევროპაში გადმოიტა
ყვავილი საშუალო საუკუნოებში გ
ვინვარდა და დიდი ზარალიც მისცა
ჟამად ევროპას. დიდრონები იხოც
დნენ ყვავილით 80 პროცენტი, ხოლ
პატარა ბავშვები, რამოდენიც ავად
ბოდა ნახევარი იხოცებოდა და ნახ
რიც რჩებოდა. მართალია რჩებოდ
სიკვდილს პირიდან უვარდებოდ
მაგრამ ზოგიერთნი ისეთნაირად მ
ნჯდებოდნენ, რომ ბევრის წილად
ჩივნათ დახოცილიყვნენ. ზოგი ბრ
დებოდა, ზოგი ყრუვდებოდა, ზო
კიდევ ისეთი საშინელი დაჩენჩილი
დამეჭჩილი სახე რჩებოდა, რომ მ
დანახვა ადამიანს შეზარავდა. დ
შვილს ვეღარა სცნობდა, დანიშნუ
უმაწვილი გარბოდა და ახლო აღარ
რებოდა თავის დანიშნულს, რომე
ყვავილის შეხვედრამდე სიდამაზით
დოვებდა ვაჟს. ყვავილი არ ერიდ
არც ღარიბის ქოხს და არც დიდებულ
პალატს. ყვავილის მსხვერპლად შე
ნენ მეფე ლუდოვიკ მეთხუთმეტე,
რატორი პეტრე მეორე, დედოფალი
რიამი და სხვა დიდნი მირონცხებულ
ყვავილი არ არჩევს არც სქესს, ა
დიდსა და არც პატარას. ყვავილმა
რო დიდი ზარალი მისცა ევრო
საშუალო საუკუნოებში, ვიდრე შა
ჭირმა. გერმანიაში ყვავილის შეს
ანდაზაც კი დარჩა: „ყვავილი, რო
რათაც სიყვარული, გამოუცდელს
ვის დასტოვებსო". რუსეთში ყვავი
გაჩნდა 1630 წელს, ხოლო ციმბ
კი მეჩვიდმეტე საუკუნის დას
ზოგიერთ ადგილებში ისეთი საშინ
გამწვავდა ყვავილი, რომ დახოც
დაუმარხავნი რჩებოდნენ. ექიმის გ
ბერტის გამოკვლევით, ყაზანის გუ
ბერნიაში 1866—1888 წ. 61,4

---

*) თუმცა-ღა სოფელს ახუთი ჰქვია
მაგრამ ადგილი, სადაც დუქნები და ს
დაწესებულებანი არსებობენ ჰქვია
ღებროო».
ავტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...მოკვდა. სამედიცინო დეპარტა-
...ის გამოანგარიშებით ევროპიის
...ში სულ ავად გამხდარა ყვავილით
...9 წ. 94,509 კაცი, მათ შორის
...ვდარა 17,747 კაცი. სიკვდილით
...ვევა კაცილებით მოჭარბებული იქ-
...და, რადგანაც სიებში ყველა ავად-
... და მკვდარი არ იწერებოდნენ,
... რომ ორთაშუა რიცხვით უნდა
...რიშოთ ერთ წლიწადს 18,000
...რი. საინტერესოა შევადაროთ ეს
...ილითი შემთხვევა გერმანიელთა
...სნობასთან, სადაც ამ ჟამად ყვა-
... აცრა სავალდებულო იყო. იმავე
... წ. 100,000 მცხოვრებელზე —
...3... სიკვდილითი შემთხვევა იყო,
...სდამე რა შედავათს იძლევა ყვა-
...ს აცრა, როდესაც ამოდენი უდან.
... ხალხი იმუსრებოდა? ჯერ ერთი
... უმთავრესი მიზეზი, რომ მა-
...ედი თანამედროვე ექიმები რაგია-
... იქნენ დახელოვნებულები და
... ვერ არჩევდნენ სხვა გადამდე-
...მეობიდან; ერთმანეთში ურე-
... მავ ჭირს, სითვილის და წითე-
... ერთსა და იმავე ზომებს იღებ-
...ვედა ავადმყოფობაზე, რის გა-
... ზომები ყვავილის წინააღმდეგ
...გონი რჩებოდნენ. მეორე მიზე-
... სასანიტარო და ჰიგიენური
...ები, რომელიც მტკიცედ ეჭირა
... განათლებულს ხალხოსნობას:
...ებს, ბერძნებს და რომაელებს,
... საშუალო საუკუნის ახალმა
...რმა სწავლამ (ცნებათა-ღელვის
... სრულიად დაამხო მკურნალობა.
... იმ მიმართულების შეხედუ-
..., თავის მოვლა და წამლობა,
... ითვლებოდა.

...რიეული აზრები

...ზედ მეტს ისინი სჯამენ,
...დარნი არიან. რათა? რისთვის?
... ჭკუისთვის ჯერ კანონს არ

... მერის ძიების გარდახდასა ფი-
... უსათუოდ დასჯილ იქნება-

...თოთ, პაპირასი არ მოსწიო,
...ოდო, ქაღალდი არ ითამაშო,
..., გიყვარდეს ღმერთი, ხალ-
...ილნი, კეთილი და აი მხო-
... იქნები პატიოსანი კაცი და
... სარგებლობასაც მოუტან იმ
...ებს, რომელშიაც შენ სცხოვ-
... საქმით არა კეთილის მაგა-
...იანც.

... და კეთილის გულით ძალიან
...რიან დაჯილდოვებულნი.

...მოკრული საუბარი

...ს შემდეგ ორი სამი სის-
...რნება ძალიან გარგებთ.
... ექიმო, მე რომ მაგდენი

— მერე, გასეირნებას რა შეძლება
უნდა?

— გასეირნების შემდეგ პური ისევ
მალე მომშივა და ჯამაგირი კი იმო-
დენი არა მაქვს.

## სხვა-და-სხვა ამბავი

—

რაზეა დამოკიდებული ხანდახან
პიესისაგან ყურადღების დამსახუ-
რება? ცნობილი სათეატრო კრიტიკო-
სი ფ. სარსე ამ კითხვაზე შემდეგს
პასუხს იძლევა, რომელიც არ მოეწო-
ნება არც ერთ დრამატურგს:

„იქნებ გგონიათ, რომ ეს დამოკი-
ბული იყოს მწერლის ცოტად თუ ბევ-
რად ცოცხალ აზრებზე, მის შემოქმე-
დებით ძალაზე, ტყუილია. ამის მიზე-
ზი მრავალია...

„ფრიად საყურადღებოა, მაგალითად,
დიდი ხნისა თუ ახლად ნასადილევნი
არიან მაყურებლები. თუ ახლად უსა-
დილნიათ, მაშინ ვერავითარი გენიოსი
ვერ გამოიწვევს მათ ყურადღებას. საჭმ-
ლის მონელება ისეთი საგანია, რო-
მელსაც ვერ შევურიგებთ ესტეტიკას
და შეგნებას. და იცით, თუ რატომ
გაჰქრა თანამედროვე რეპერტუარიდან
თითქმის საბოლოოდ უწინდელი სარი-
ოზული, მაღალი ღირსების კომედია?
იმიტომ, კი არა, რომ ვეღარ სწერენ
ასეთ კომედიებს, სრულიადაც არა! არა-
მედ იმიტომ. რომ საზოგადოება სა-
დილობს სწორედ წარმოდგენის წინ.
საზოგადოება რომ 4 საათზე სადი-
ლობდეს, მაშინ დრამატიული მწერ-
ლობა სულ სხვა სახეს მიიღებდა. ახ-
ლა კი ავტორები იძულებულნი არიან
შეადგინონ ვოდევილები და ფარსები
და კიდევ უარესი დრამატიული ფოკუ-
სები, რომელიმე სარდუს მგზავსად“.

## დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

18 თებერვალი

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძა-
ნება: ტფილისის გუბერნატორი
ბიკოვი, თავისისავე თხოვნის თან-
ხმად, დათხოვნილ იქმნა თანამდე-
ბობიდგან; კავკასიის სამკურნალო
ნაწილის მმართველი მკურნალი
გლიავაცკი თავისისავე თხოვნის თან-
ხმად და ავადმყოფობისა გამო დათ-
ხოვნილ იქმნა სამსახურიდგან.

**პარიზი.** პრეზიდენტი ლუბე
დასახლდა ელისეს სასახლეში.

**მადრიდი.** გენერალი ტორალი,
რომელმაც სანტ-იაგო დაუთმო
ამერიკელებს, ციხეში დაამწყვდ-
რეს.

დედოფალს მოლაპარაკება ჰქონ-
და რობლედოსთანა და ტეტუა-
ნის ჰერცოგთან. რობლედომ წი-
ნაამდეგობა განაცხადა პალატე-
ბის დათხოვნისა. კონსერვატორე-
ბი ამბობენ, ამ ღონისძიებას ნუ
მივმართავთო.

**ბილბაო.** მთა-მადნის 1500 მუ-
შა გაიფიცნენ და უწესოება მოახ-
დინეს. ხალხი პოლიციას ქვებს ეს-
როდა.

**პარიზი.** ბურბონის სასახლეში
ბევრსა ლაპარაკობენ მთავრობის
მიერ მიღებულ საშუალებაზე სხვა
და სხვა ლიგების წინააღმდეგ. ამ-
ბობენ, რომ მთავრობას განზრახვა
აქვს ყველა ლიგები გააუქმოსო.
რადგანაც დერულედის საქმის გა-
მო მართლ-მსაჯულებამ მიაქცია
ყურადღება პატრიოტთა ლიგის
უკანონოდ არსებობას, ამიტომ
მთავრობას განზრახვა აქვს ყველა
სხვა ლიგებიც გააუქმოს.

19 თებერვალი

**პეტერბურგი.** 19 თებერვალს
ხელმწიფე იმპერატორი ბძანდებო-
და კონსტანტინეს საარტილერიო
სასწავლებელში.

19 თებერვალს, ბატონ-ყმობის
გაუქმების დღეს ისაკის ტაძარში
გარდახდილ იქმნა წირვა და პანა-
შვიდი იმპერატორის ალექსანდრე
II სულის მოსახსენებლად.

19 თებერვალსავე, ბოლგარიის
განთავისუფლების დღეს, ბოლგა-
რელ ახალგაზდობის სურვილით ყა-
ზანის ტაძარში გარდახდილ იქმნა
პანაშვიდი იმპერატორების ალექ-
სანდრე II და ალექსანდრე III-სა
და იმ მეომართა სულის მოსახსე-
ნებლად, ვინც ბრძოლის ველზედ
გარდაიცვალა. გარდახდილ იქმნა
აგრეთვე პარაკლისი ხელმწიფე იმ-
პერატორის ნიკოლოოზ II-ს სად-
ღეგრძელოდ.

20 თებერვალი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპე-
რატორმა უბძანა გენერალ-ადიუ-
ტანტს ვონოვსკის დაწვრილებით
გამოიძიოს მიზეზები და გარემოე-
ბანი იმ უწესოებისა, რომელიც
მოხდა 8 თებერვალს პეტერბურ-
გის უნივერსიტეტში და შემდეგ
ზოგიერთ სხვა სასწავლებლებშიაც.
ამასთანავე ხელმწიფე იმპერატორ-
მა ბძანა, რომ წესიერების დამყა-
რება ვალად უნდა დარჩეთ ამ სას-
წავლებლების მთავარ უფროსებს.

**პარიზი** სენატი შეუდგა პრე-
ზიდენტის არჩევანს. ფალიერს
ამოუვიდა 96 კენჭი, კონსტანს—
84, ფრანშოვოს—50, პეიტრალს
—25. ხელმეორედ კენჭის ყრა
მოხდა და პრეზიდენტად არჩეულ
იქმნა ფალიერი 151 ხმით. კონს-
ტანს 85 თეთრი კენჭი ამოუვიდა.

პიკარის საქმე. სასამართლოს
პალატამ დაადგინა, რომ პიკარი
და ლებლუა სამართალში იქმნენ
მიცემულნი. ორთავეს ბრალად
ედებათ ყალბის საბუთის ქაღალ-
დების შედგენა, სარგებლობა ამ
ქაღალდებით და ესტერგაზისა და
დრეიფუსის საქმეებში გამო...
...

დუმლო ქაღალდებისა და ბულოს
საქმეს კავშირი არა აქვს ზემოხსე-
ნებულ საქმეებთან, ამიტომ ეს
საქმე სამხედრო სასამართლომ უნ-
და განიხილოს.

20 თებერვალი

**პარიზი.** პარიზისა და ლონდო-
ნის კაბინეტები შეთანხმდნენ იმა-
ზე, რომ საფრანგეთს უფლება
ჰქონდეს იქონიოს მასკოტში ნახ-
შირის საწყობი იმავე პირობებით
როგორც ინგლისს აქვს.

**რომი.** ბიულეტენი. პაპმა ღამე
მშვიდობიანად გაატარა და დღეს
კარგად გრძნობს თავს. ის წამოდ-
გა ლოგინიდგან რამდენიმე საათით
ოპერაციის ალაგას არაფერი ახა-
ლი არ აღმოჩენილა: სიცხე, სუნთ-
ქვა და მაჯის ცემა წესიერი აქვს.

**მადრიდი.** სილველის მახლობე-
ლი პირნი ამბობენ, რომ დედო-
ფალს შეუძლია მიიღოს ხელშეკ-
რულება შეერთებულ შტატებთან
პალატებში კენჭის უყრელად. პა-
ლატების დათხოვნა მოხდება დაუ-
ყონებლივ. ახალი კორტესები შეი-
კრიბებიან პირველ პალატაში: ეს
აუცილებლად საჭიროა, რომ ფი-
ნანსების შესახებ კანონებს კენჭი
ეყაროს საფინანსო წლის გასვლამ-
დე.

**მადრიდი.** ახალი სამინისტრო
უკვე შესდგა. მინისტრები ფიცს
მიიღებენ დღეს დილით. სენატის
პრეზიდენტად ინიშნება მარტინეც-
კამპოსი, პალატის პრეზიდენტად—
პიდალი.

21 თებერვალი

**პეტერბურგი.** ჟურნალის „ევ-
როპის მოამბის“ მავნებელ მიმარ-
თულების გამო, რომელიც არა-
ერთხელ გამოიხატა ფინლიანდიაში
მთავრობისაგან მიღებულ ზომების
შესახებს წერილებში, განსაკუთ-
რებით-კი მიხელინის წერილში:
„ახალი წიგნი შ. ედენოვისა და
მისი გასწორება“ რომელიც დაიბეჭ-
და 1898 წ. წერილში „საზოგადოე-
ბრივი ქრონიკა“, ამ წლის მე 2
№-ში. საშინაო საქმეთა მინისტრმა
დაადგინა: გამოეცხადოს ჟურნალს
„ევროპის მოამბეს“ მეორე გაფრთ-
ხილება.

**ვაშინგტონი.** კონგრესი დაი-
ხურა დროებით.

**ბუდაპეშტი.** დარღვეულ საერო
დასის 22 წევრი, მათ შორის ყველა-
ზე უფრო ჯვალ სახინო მეთაუ-
რები, შევიდნენ ლიბერალთა დას-
ში.

**ვალენსია.** აქ მოვიდა გემი
კუბიდან სამშობლოში დაბრუნე-
ბულ ჯარით. მისი დაგვიანება აწ-
უხებდა მცხოვრებთ.

**სტამბოლი.** გემი „ტიმსა“,
რომელიც სულთანმა აჩუქა ჩერ-
ნოგორიის მთავარს, წავიდა დღეს
ანტივარში.

# განცხადებანი

## დაიბეჭდა და ისყიდება
ახალი ქართული წიგნი

# სიტყვიერების „თეორია

სალიტერატურო ნიმუშების კრებულით ანუ ქრისტომატიით რომელიც ორ ნაწილად არის შემდგარი

წიგნი დანიშნულია სახელმძღვანელოდ და სახმარებლად სათავად-აზნაურო სკოლებისა, სასულიერო სასწავლებლებისა, საოსტატო და სამართლმადიდებლო სემინარიებისა და დედათა საეპარქიო სკოლებისათვის.

შედგენილია კირიონ ალავერდის ეპისკოპოსისა და გრიგოლ ყიფშიძის მიერ.

მოკლე შინაარსი სიტყვიერების თეორიისა: წინასიტყვაობა.—შესავალი.—თეორია ენისა ანუ სტილისტიკა.—პროზა ანუ თეორია პროზისა.—თეორია პოეზიისა.—პოეზია საეპიკო და სალირიკო.—სადრამო პოეზია.

მოკლე შინაარსი სალიტერატურო ნიმუშების კრებულისა: ნაწილი I. აღწერანი მარტივნი და მხატვრობითნი.—მგზავრის წერილები.—მოთხრობითნი თხზულებანი, ბიოგრაფია და დახასიათებანი.—მსჯელობითნი თხზულებანი.—საორატორო პროზა: მჭევრ-მეტყველებ საპოლიტიკო, სახოტბო და სასულიერო.

ნაწილი II. საეპიკო პოეზია.—საგრო ეპოსი.—ესკიზი, ამბავი და მოთხრობა.—იდილიები, იგავი-არაკნი და ბალადები.—სალირიკოს პოეზია: სატირა, ოდა, ელეგია, სალირიკო ლექსნი, ლექსნი, დაწერილნი საგრო კილოზე, ხალხურნი ლექსნი, ჰიმნი, მადრიგალი, ეპიტაფია, ეპიგრამა. (ამ უკანასკნელ განყოფილებაში მოთავსებულია, სხვათა შორის, საუკეთესო სალირიკო ლექსები ჩვენის პოეტებისა).

მთლად წიგნი, ესე იგი სიტყვირების თეორია და კრებული ნიმუშებისა (ქრის-ტომატია) ორ-ნაწილად, საკმაოდ მოზრდილის ტანისაა და შეიცავს 640 გვერდს ანუ სტამბის $20^{1}/_{2}$ თაბახს და ჰღირს **ერთი მანათი.**

წიგნის მაღაზიებს და საზოგადოდ ყველას, ვინც ათს ცალზედ ნაკლებ არ იყიდის, $20^{0}/_{0}$ დაეთმობა.

საწყობი წიგნისა „წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაშია

---

იქვე ისყიდება ახალი ქართული წიგნი.
**უცხო მწერალთა ამბავნი და მოთხრობანი**
თარგ. გრ. ყიფშიძის მიერ. ფასი სამი შაური. (10—10)

---

Подписка на **1899** годъ

# РУССЪ 4 руб. въ годъ
**съ пересылкой.**

ежедневная газета и еженедѣльный

**„Иллюстрированный Листокъ" 2** Рубля въ годъ съ пересылкой.

Издаваясь при «Недѣлѣ», въ одномъ съ нею направленіи, и служа существеннымъ ея дополненіемъ, «Русь» въ то-же время представляетъ собою самостоятельный, полный ежедневный органъ, имѣющій цѣлью,—благодаря участію выдающихся литературныхъ силъ,—доставить интеллигентнымъ читателямъ при общедоступной подписной цѣнѣ вполнѣ литературную и серьезную газету.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„НЕДѢЛЯ"** | еженедѣльная общественно-политическая газеаа | **9** Руб. въ годъ съ перес. | **Всѣ четыре изданія 15** р. въ годъ съ перес. |
| **„КНИЖКИ НЕДѢЛИ"** | ежемѣсячный литературный журналъ | | |

**Допускается широкая разсрочка**

*Подписка принимается:* въ С.-Петербургѣ, въ конторѣ редакціи «Недѣли» и «Руси», Литейный, 9.

Ближайшіе сотрудники: Я. В. Абрамовъ, проф. Н. П. Вагнеръ, П. П. Гнѣдичъ, прив.-доц. В. М. Грибовскій, В. Л. Дѣдловъ, М. Н. Мазаевъ, М. О. Меньшиковъ, П. Е. Накрохинъ, Владиміръ Соловьевъ, акад. И. И. Янжулъ и многіе другіе.

Редакторъ-издатель «Недѣли», издатель «Руси» *В. П. Гайдебуровъ*
(6—12) Отвѣтственный редакторъ «Руси» *М. В. Головинскій*

---

1899 г. Годъ третій 1899

Открыта подписка на 1899 г. на

# Новый журналъ Иностр. Литератур
## ИСКУССТВА и НАУКИ.

**ервое въ Россіи**
общедоступное иллюстрированное ежемѣсячное изданіе
(Вдвое больше лучшихъ заграничныхъ иллюстрированныхъ мѣсячниковъ)

| | | |
|---|---|---|
| 12 книгъ—4 большихъ тома. Болѣе 1,500 иллюстрацій на лучшей бумагѣ. | **189** | На годъ 4 р. Съ доставкой и перес. 5 р. На ½ года 2 р. 50 к. Съ дост. и перес. 3 р. |

«Новый Журналъ ностранной Литературы» поставилъ себѣ задачей въ можно большемъ кругу усской читающейпублики пробуждать и поддевать интересъ къ тому, что можетъ доставлять интеллектуальное удовол своей поучительностью и занимательностью вь области литературы, иску и различныхъ отраслей знанія. Почерпая изъ такого богатаго источника ко новое и выдающееся, оригинальное и характерное, «Новый Журналъ странной Литературы» старается давать ясное и точное понятіе о результ умственной дѣятельности ы общественной жизни за границей, о томъ мировой культуры, ея идей и стремленій, который долженъ быть предм любознательности и вниманія для всѣхъ мыслящихъ и интеллигентныхъ

съ этою цѣлью „Новый Журналъ Иностранной Литератур печатаетъ:

1) Избранныя сочиненія знаменитыхъ писателей и наил шія изъ произведеній новѣйшей беллетристики.

2) Статьи, этюды и очерки о всевозможныхъ сюжета такъ или иначе касающихся современности или представля щихъ общій интересъ въ отношеніи литературномъ, худо твенномъ и научномъ. Большинство этихъ статей—вовсе не реводы, а излагаются примѣнительно къ потребностямъ р каго читателя.

3) Всѣ статьи, по своему содержанію доп ющія ил трированіе, сопровождаются **многочисленными жественно ненными рисунками и автотипическими репродук**

Всѣ болѣе или менѣе крупныя произведенія печатаются съ особо мерацiей страницъ и могутъ бытьсохраняемы отдѣльными томами.

Помимо статей съ иллюстраціями современнаго интереса и заниматего содержанія, литературныхъ, научныхъ и художественныхъ, иллюстри ной заграничной хроники (на современныя темы; изъ прошлаго; литерат художественныя и научныя новости; изъ артистическаго міра; изъ иност журналистики мелочи), въ 1899 г. съ январской книги будутъ печ

**Юмористическіе разсказы Уэлльса**
(автора романа «Борьба міровъ», напечатаннаго въ „Нов **Журналѣ Иностранной Литературы** 1898 г.)

**Неизданныя произведенія ДИККЕНСА.**
Цвѣты, плоды и шипы или брачная жизнь, смерть и свад адвоката бѣдныхъ Зибенкейза.
Романъ **Жана Поля Рихтера.** (12—9

---

# БИРЖЕВЫЯ ВѢДОМОСТИ

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА** со всѣми ПРИЛОЖЕНІЯМИ: съ пересылкою **На ГОДЪ 4 РУБ.**

**второе изданіе**

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА** со всѣми приложеніями съ пересылкою **на три мѣсяца** . . **На мѣсяцъ 35 к.**

**БОЛЬШАЯ ЕЖЕДНЕВНАЯ БЕЗЦЕНЗУРНАЯ ГАЗЕТА.**

**ИЛЛЮСТРАЦІИ**
на событія дня какъ русской, такъ и иностранной политической и общественной жизни помѣщаются не только въ литературной части воскресныхъ нумеровъ. но и въ самой газетѣ
**ЕЖЕДНЕВНО**

По воскресеньямъ выпускается сверхъ газетнаго листа особое литературное прибавленіе, печатающееся на бѣлой глазированной бумагѣ и составляющее особый еженедѣльный
**безплатный**
**ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЖУРНАЛЪ**

Въ предстоящ. году будутъ напечатаны

| | |
|---|---|
| «Колесо Фортуны» романъ Независимаго **І. І. Ясинскаго.** | **«Городской голова»** романъ Вас. Ив. немировича-данченко |
| «въ муромскихъ лѣсахъ» повѣсть Е. А. Саліаса | **„ЛУЧИ"** повѣстъ К. К. Случевскаго |
| **„ПИСЬМА"** Н. А. Лѣскова. | «ТАЛИСМАНЪ» историчес. романъ проф. П. Безобразова. |

Самостоятельный въ своихъ ніяхъ, чуждый тенденціознаго шенія фактовъ и безусловно имый органъ печати. Ярко всѣ явленія общественной жизн огромную сѣть корреспондент газета при всей своей твер неуклонности, справедливая и страстная, уже много лѣтъ я несомнѣнно,
*наиболѣе полнымъ*
**выразителемъ нуждъ прові**

Главные отдѣлы газеты, а въ ости передовой, политическ личной и провинціальной общ ной жизни, фельетона, корреспонденцій и пр.,—по лнотѣ и свѣжести соверш чають подобнымъ-же отдѣла гихъ большихъ столичныхъ г ней нѣтъ ненужныхъ несвя случайныхъ замѣтокъ, а ихъ за

**ЖИВОЕ СЛОВО.**
ГЛАВНАЯ КОНТОРА:
С.-Петербургъ, Невскій, 28.

*Въ 1898 Году болѣе 60,000 подписчиковъ.* (6—